დამატებითი შეთანხმება

სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის გაფორმებულ 28.07.2017წ. N60-7-117-1503 გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

29 მარტი 2019წ.

ქ. თბილისი

სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა" (შემდგომში - „სსე“ ან "ელექტროსისტემა"), წარმოდგენილი რეაბილიტაციის მმართველის/მმართველთა საბჭოს თავმჯდომარის დავით თვალაბეიშვილის სახით, ერთის მხრივ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“ (შემდგომში - "კომპანია"), წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის მერაბ კიპაროიძის სახით, მეორეს მხრივ, ერთობლივად მოხსენიებულნი როგორც „მხარეები“, ხოლო ცალ-ცალკე „მხარედ“,

იმის გათვალისწინებით, რომ:

- მხარეთა შორის 28.07.2017წ. გაფორმდა N60-7-117-1503 გადამცემ ქსელზე მიერთების ხელშეკრულება და 2019 წლის 21 მარტის NGar2/01-210319-2 (სსე-ს რეგისტრაციის თარიღი 21.03.2019, N1600) წერილით კომპანიის მიერ მოთხოვნილ იქნა მიერთების ხელშეკრულებაში ცვლილებების განხორციელება;
- ამასთან, კომპანიის მოთხოვნა ტექნიკური, ფინანსური, ორგანიზაციული თუ სხვა სახით არ იწვევს რაიმე უარყოფით შედეგებს ან/და არ ახდენს უარყოფით გავლენას

შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასა“ და შპს „გარდაბნის თბოსადგური 2“-ს შორის გაფორმებული 28.07.2017წ. N60-7-117-1503 გადამცემ ქსელთან მიერთების ხელშეკრულების (შემდგომში - „ხელშეკრულება“):

ა) 6.1. პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6.1. სსე-ს კუთვნილ გადამცემ ქსელზე მიერთების (რაც სრულდება დანადგარების ტესტირების წარმატებით დასრულებით და საექსპლუატაციოდ გამზადებით) უზრუნველყოფის ზღვრული ვადა არის 2019 წლის 30 ივნისი“.

2. 2017 წლის 28 ივლისის N60-7-117-1504 დამატებითი შეთანხმებით განსაზღვრული მესამე ტრანშის 560,660.00 ლარის გადახდა შპს „გარდაბნის თბოსადგური2"-ის მიერ განხორციელდეს არაუგვიანეს 2019 წლის 5 ივლისისა და გადახდის დღედ ჩაითვალოს, აღნიშნული თანხის სსე-ს საბანკო ანგარიშზე ასახვის დღე.

3. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება წარმოადგენს ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს და განხილულ უნდა იქნეს მხოლოდ მასთან ერთობლიობაში, ამასთან, ხელშეკრულების სხვა პირობები რჩება უცვლელი.

4. მხარეები თანხმდებიან, რომ კომპანიას არ გააჩნია რაიმე პრეტენზია აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით.

5. წინამდებარე დამატებითი შეთანხმება ძალაშია მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს ხელშეკრულებასთან ერთად.

ელექტროსისტემა	კომპანია
სს "საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა"	შპს „გარდაბნის თბოსადგური2"
საიდ. კოდი: 204995176	საიდ. კოდი: 426529759
მის: ქ.თბილისი, ზარათაშვილის ქ.№2	**მის:** საქართველო, გარდაბანი, დ. აღმაშენებლის ქ., N2ბ
დავით თვალაბეიშვილი მმართველთა საბჭოს თავმჯდომარე რეაბილიტაციის მმართველი	მერაბ კიპაროიძე გენერალური დირექტორი

JSC Georgian State Electrosystem

Digitally signed by JSC Georgian State Electrosystem
Date: 2019.04.02 15:43:01 +04'00'

Gardabani TPP 2 LLC

Digitally signed by Gardabani TPP 2 LLC
Date: 2019.04.02 13:13:13 +04'00'